სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 34 აგვისტო 11 1896 წ. № 34

შინაარსი: დედა-ენა ნ. ყიფიანისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—*** ლექსი განდეგილისა.—გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა ელიკოსი.—სასწავლო მასალა.—მუხის ფოთე… ი და ჭანდარი (ლერმონტოვიდან) კოწიასი.—გურულ ახალ გაზდების ამერიკაში მოგზაურობა ილ. ლ—ისა.—ენის წარმოდგომაზე (გერმანულიდან), პ. გ. ქარაიასი.—პასუხათ ერთ იმავე დალაქთაგანს“ არსენ ორმოცაძისა.—„კვალის“ ფოსტა.—

„კვალის“ ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

დ ე დ ა — ე ნ ა.

„ახ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“,
„როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება“.

—

ეს სიტყვები კარგა ხანია, რაც წარმოთქვა ჩვენ ბედზე მოტირალმა პოეტმა, მაგრამ დღესაც გადაწყვეტით ვერ ვუპასუხებთ მას ამ შეკითხვაზე: გავიღვიძეთ, თუ ჯერ ისევ გვძინავს? მხოლოთ საშუალო პასუხით შეიძლება ვანუგეშოთ პოეტი: თუ სულ არა, ნახევარზე მაინც. დიახ ცუდი არ უნდა თქვას კაცმა, დიდი ნაბიჯი გადავდგით ამ შეკითხვას შემდეგ, რამდენათაც კი შეგვეძლო ოთხივ-კუთხივ შემოზღუდულ კედლებს შორის! მაგრამ რა? ჯერ კიდევ დიდ, ძლიერ დიდ მანძილზე ვართ ჩამორჩენილნი დანარჩენ ერთა წინ-სვლასთან. ამ შემთხვევაში ჩვენ ვემგზავსებით ჯაგლაგ ცხენს, რომელსაც ერთ ხანათ კარგი დრო ჰქონია და დღეს კი დაღარიბებული მისდევს უკან გაჭენებულ რაშს და ვერ მოწევია.

მაგრამ ეს შედარება ცალ-მხრივია. რომ ჩვენც მივდევთ და ჯერ ვერ მოვწევივართ, ეს ასეა, მაგრამ იმ იმედის მოსპობას კი ღმერთმა გვაშოროს, რა იმედიც უეჭველათ უნდა მოესპოს ჯაგლაგ ცხენს რაშის მოწევაში! არა, ბატონებო, მე პესსიმისტების (გულგატეხილების) თანამგრძნობი არ გახლავართ და ამ სანეტარო იმედებსაც ვერ მოვისპობ. ან როგორ მოხერხდება იმედების მოსპობა? იმედი ხომ ერთათერთი ნუგეშია სნეულისა, ტანჯულისა, შეყვარებულისა, ღარიბისა, გადახვეწილ-სა, დატუსაღებულისა... უიმედოთ ხომ სიცოცხლე აღარა ღირს. მაშასადამე, იმედის დაკარგვასთან ერთათ სიცოცხლეც უნდა მოესპოს კაცმა — და ეს უკანასკნელი ხომ ღვთისა და ბუნების საწინააღმდეგოა! მაშ თუ სიცოცხლე გვინდა, იმედი ხომ მისი გზის მანათობელია. ეს თუ ასეა, ჩვენც უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ როდისმე დავეწევით სხვა ერთა წინ-სვლას?

დიახ, დავეწევით, თუ მოვინდომებთ. დავეწევით, თუ დღეში ერთ საათს მაინც მოვანდომებთ საერთო საქმეებზე ზრუნველობას. დავეწევით, თუ უკუვაგ-

დებთ შეცდომით შემდგარ აზრს: „არა, გამოვარაო“. როგორ დასწევიან სხვები? როგორ განვითარებულან ჩვენზე ბევრათ ჩამორჩენილი ერნი საერთო წინ-მხედველობაში და რითი მიუწევიათ იქამდის? რითი? — მუყაითობით, შრომით, იმედით, თვით-არსებობის უსაზღვრო სიყვარულით. მერე, განა იმ სხვებს და ჩვენ ერთი ბრძოლა გვჭირდება? — სულაც არა! იმათ სულ-მთლათ ერთმევოდათ ხელიდან ყოველი ნიშანი თვით-არსებობისა და მაინც თავისი დაიცვეს. — ჩვენ კი, თითონ ჩვენი ნებით ვუშვებთ ხელიდან იმას, რის უფლებაც გვაქვს და რასაც არავინ გვართმევს. რა საგანში უნდა მოეთხოვოს კაცს წინ-სვლა, თუ კი ის თვით დედა-ენაშიც კი ჩამორჩენილა? თუ კი იმან თავისი სახელის მოწერაც არ იცის? მაშინ ის კაცი ძალიან ცოტათია დაშორებული პირუტყვზე. პირუტყვისაგან განირჩევა მხოლოთ ლაპარაკით. მაშ როგორ? თუ კაცმა წერა-კითხვა არ იცის, რას შეიტყობს ქვეყნიერობისას, როგორ ვასაზღვრავს და შეადარებს თავის უკან ჩამორჩენას? როგორ მიჰბაძავს წინ-წასულ ერს?

ზოგს იქნება გაუკვირდეს და იკითხოს, ვილა არის ახლა ქართველ თავად-აზნაურობაში ისეთი, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს? ვინც ამას გაიკვირვებს, ძალიან შემცდარი იქნება. მოგეცეთ სიცოცხლე, რომ ჩვენ სოფლებში ძალიან ბევრნი არიან თავად-აზნაურთაგანი, რომლებმაც სწორეთ რომ თავისი გვარის მოწერაც არ იციან. განა ეს სამარცხვინო არ არის ჩვენთვის? როგორ? სადაც სხვა ქვეყნებში უკანასკნელი მუშა, მეეტლეც კი არსებითი პურის შოვნის დროსაც გაზეთს ხელიდან არ უშვებს და ტყობულობს ქვეყნიერობის ამბავს, უერთებს თავის თავს, თავის ტვინის მოძრაობას საერთო სიცოცხლის ბრუნვას, ერთი სიტყვით — ცოცხლობს, როგორც შეჰფერის ადამიანს, ჩვენში უპირველესი ელემენტი ჩვენი ერისა გონება დახშულნი სხედან თავის სოფლებში და ორი ნასწავლი კაცის ერთათ ლაპარაკისა ისე არა ესმით რა, როგორც მგელს მის თავზე წაკითხული სახარება. გლეხკაცობაზე ხომ რაღა ითქმის, ისინი, როგორც ყველაფერში — მთლათ უბედურნი არიან. აბა, მაშ თქვენ გეკითხებით, განა ამ მდგომარეობაში მყოფი ერი წინ წაიწევს? შეუძლებელია. ამაზე მეტყვიან, დიახაც ჩვენც გვესმის ეს უბედური მდგომარეობა, ჩვენც ვიცით, რომ კლასიკურ გიმნაზიებსა და უნივერსიტეტში სწავლის მიღება ფრიად დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მაგას შეძლება უნდა და ჩვენ ყოვლად გაღარიბებულნი ვართო! არა, ბატონებო, ჩვენი ერის იმ ნაწილისათვის, რომელზედაც ზემოთა ვთქვით, კლასიკური გიმნაზიები და უნივერსიტეტი ჯერ საჭირო არ არის(?) თუ ბავში ცო-ცვას არ დაიწყებს, პირდაპირ სიარულის დაწყება არ შეუძლია. იმათთვის არის საჭირო ჯერ ანბანის დაწყებინება. ანბანიდან გადასვლა იმის გონების შესაფერ პატარ-პატარა წიგნაკებზე, პატარა წიგნაკებიდან უფრო უკეთეს, უფრო მნიშვნელოვანი შინაარსის წიგნებზე. ამ გვარათ ეხსნება კაცს გონება და ბოლოს მიახწევს იქამდის, რომ რისაც უწინ არა ესმოდარა, დღეს იმისთვისაც გასაგები შეიქნება. თორემ ჩვენი ერი ორ ერთმანეთის წინაალმდეგ მხარეს შეადგენს, დიდ კონტრასტს. ერთი მხარეა (ამასთან მეტათ მცირედი) თითქმის სულ უმაღლეს სწავლა — მიღებული, მეორე — ყოვლად გონება დახშული, უანბანო. ეს დიდი უბედურებაა ერისათვის. რა სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ ერთ განათლებულ მხარეს, მეორე, გონება დახშული მხარისათვის? — არაფერი! არაფერი იმიტომ, რომ იმათი აზრები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ნასწავლი მხარე მოინდომებს ამა თუ იმ სასარგებლო საქმის ჩაგონებას; გონება დახშული მხარე ვერ მიუწვდება იმის აზრის გაგებას.

აი, სულ უბრალო მაგალითს მოგახსენებთ: ყველა ჩვენთაგანმა იცის, რომ სოფლათ წლითი-წლობამდის რაიმე სენი ტრიალებს და ხან ერთ ოჯახში ჩააწვენს ლოგინში რომელსამე მის წევრს, ხან მეორეში. რადგან ავათმყოფს სხვანაირი მოვლა და წამლებით დახმარება უნდა და ამისი ღონე არ მოსდევს ღარიბ თავად-აზნაურშვილს და მით უმეტესათ გლეხკაცს, ამიტომ, რასაკვირველია, ძალიან ბევრი ესალმება უდროვოთ წუთი-სოფელს და ტოვებს ცოლს უპატრონოთ, წვრილ-შვილს ობლათ, უდედ-მამოთ და სხვა. ამ გვარ მაგალითებს ძალიან ბევრს ვხედავთ ყოველ წლივ. რა უნდა ეშველოს ამას? რადგან ერთ პირს არ ძალუძს, შეძლების მიხედვით, ყოველ გაჭირვებულს დაეხმაროს, ამიტომაც საჭიროა საერთო ძალა. ამისათვის გულ-შემატკივარს შეუძლია სოფლათ ფულის მოკრება თითო აბაზობით და შემდეგ ყოველნაირი, პირველათ მისაშველებელი წამლების ყიდვა. როდესაც წამალი იქნება, ყოველ გაჭირვებულს შეუძლია მიმართოს იქვე, იმ გულშემატკივარს და ის, საჭიროებისა და გვარათ, მიეშველება ავათმყოფს. ამას რა ჯობიან და ამაზე ადვილიც რა არის? მაგრამ ვის შეუძლია ჩააგონოს გლეხ-კაცს, რომ ბევრათ ურჩევნიან წელიწადში ერთხელ ერთი აბაზის გამოღება, ვიდრე სიკვდილი ოჯახის წევრისა და ბოლოს ორ-სამ თუმნობით დახარჯვა იმის დასაფლავებაზე? ვერავის, მე თქვენ გარწმუნებთ, ვერავის ვერ შეუძლია ამის ჩაგონება. პირში კვერს დაგიკრავთ, „თქვენ უფრო არ მოგეხსენებათ, შენი მუხლის ჭირიმეო“ გეტყვით და ამითი გათავდება, იმ აბაზს მაინც ვერ დააგდებინებთ ხელიდან. რათ არის ეს, თუ

არა იმის მიზეზით, რომ იმისი მეტის-მეტათ დახშული გონება ვერ მიმხვდარა ამ სასარგებლო საქმის დანიშნულებას. იმას მაშინათვე დომხალიეთ აერევა თავში: ,,ჩემი აბაზი ამას ჩაუვარდეს ხელში, ან გამიხდება ვინმე ავათ, ან არა, მერე ჩემი აბაზი შეიძლება სხვას მოხმარდეს, ან ვინ იცის, არგებს ის წამალი თუ არა, იქნება მკითხავი იყოს იმ დროს საჭირო? არა, ჯობს, ეს ჩემი აბაზი ჩემ ჯიბეში დარჩეს ისევ; როცა დამჭირდება, მე თითონ მოვიხმარ!'' გლეხ-კაცს ამ გვარი განსჯა საქმისა და გულშემატკივარის ხელების უიმედოთ დაშვება—ერთი არის. ჩაუფუშდა ეს ერთი კეთილი ფიქრიც, გაჭირვებული მოძმის დახმარების სურვილი! ეს არის და ეს, მეორეთ ის აღარას ეცდება; ყოველი ოცნების დროს, ის შეუსრულებელი მიზანი დაეხატება თვალწინ და ყველაფერს თავს ანებებს. არც გასამტყუნარია, ჩვენის აზრით. ეს საერთო თვისებაა, არ გიხერხდება ერთი საქმე, მეორეს ან სულ არ მოჰკიდებ ხელს, ან უგულოთ.

ამ სენის ძალაცილებლათ ჩვენთვის საჭიროა არის, რასაკვირველია, სასწავლებელი ყოველ სოფელში, მრავალი სხვა-და-სხვა შინაარსისა და სურათებიანი წიგნაკების გამოცემა. ამათი მოწყალებით ის ერთი მ'ხარე, რომელზედაც ზემოთ ვთქვით, იმდენათ განვითარდება გონებით, რომ კლასიკურ გიმნაზიებში და უნივერსიტეტში კურს დასრულებულებს საკმარისათ მხარს მისცემს.

მერე ამ სასწავლებლების დაარსებას, წიგნების გამოცემას და სამკითხველოების გამართვას ფული არ უნდა? დიახაც უნდა, ამას რა თქმა უნდა. ერთი და ორი პირი ხომ ვერ შეწვდება ამას, თუ საერთოთ ყოველმა ჩვენგანმა არ მიიღო მონაწილეობა? ამისათვის არის დაარსებული ჩვენში ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;'' მაგრამ ეს საზოგადოება საკმარისათ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რადგან მას ძალიან ნაკლები დახმარება აქვს ჩვენგან. მაგალითათ, წევრი ჯერ სულ ცოტა ჰყავს და ვინცა ჰყავს, იმათზედაც წლობით არის დარჩენილი საწევრო შემოსატანი. ორიოდ-სამი წარმოდგენა ან ლატარია თბილისში გამართული—აი, ეს აცოცხლებს, ასე თუ ისე, ამ საზოგადოებას. არ ჰგვანებია ჩეხელების ,,წერა-კითხვის საზოგადოებას'' (მატიცას)! ენით გამოუთქმელია, ბატონებო, ის სასოება, რა სასოებითაც ჩეხელები ეკიდებიან თავის ,,მატიცას!'' ყოველი ჩეხელი იბადება და კვდება ,,მატიცაზე'' ზრუნვაში. მაგალითათ, რომ დაიბადება ვინმე, იმისი დედ-მამა შეწირავს ,,მატიცას'' სასარგებლოთ რამდენიმე წელილს ახლათ დაბადებულის გულისათვის. შემდეგ, არ ჩაიელის უამისოთ არც იმისი ნათლობა, არც იმისი ქორწილი, არც იმისი გადაცვალება; მოწაფე ისე არ გადავა კლასიდან—კლასში, რომ ,,მატიცას'' არა შეწიროს რა. ეაჭარი კაცი თავის მოვალეობათ თვლის რამდენიმე მანეთის შეწირვას ყოველ-წლივ, რომ საზოგადოებისაგან დაიმსახუროს ,,დიპლომი'', რომლის მოწყალებითაც იმას მომეტებული ეაჭრობა აქვს პატრიოტი—ჩეხელებისგან. ერთ ოჯახს, ერთ მაღაზიას, ერთ საწერილმანოს ვერ შეხვდებით, რომ ყულაბი არა ნახოთ იქ, რომელშიაც გროვდება ფული თითო შაურობით, გროშ-კაპეიკობით. ამნაირი მეცადინეობა ათას-ათასობით აგროვებს ფულს ,,მატიცასათვის'' ,, ,,მატიცაც'' უმართავს მათ გიმნაზიებს, სამკითხველოებს, სკოლებს, აწოდებს აუარებელ წიგნებს და სხვა და სხვა. ,,რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!'' აძლევს ყოველ წელიწადს თითოეული ჩეხი გროშებს და ამის მაგიერათ ეზრდება მას შვილები, აწოდებენ მას შვენიერ წიგნებს, ჟურნალებს... აი, რა მოგებით ილებს იმ გროშებს, რომლების დაკლება არც კი შეტყობია იმის ჯიბეს!

ამ ქამათ ჩვენმა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ'' ყულაბები დაარიგა ოჯახებში. უმთავრესი ზზრუნველობა დაეალათ მანდილოსნებს. როგორც დავაკვირდეთ, მომეტებული ნაწილი ყულაბის მტვირთველი მანდილოსნებისა ძალიან გულმოდგინებით ეკიდებიან ამ საქმეს და დიდი მანეობით აგროვებენ ფულს. ზოგს კი მხოლოთ ,,ფორმისთვის'' ჩამოუკიდია კედელზე, ან დაუდგამს რომელსამე მაგიდაზე და ჰგონია, რომ ,,საზოგადოებას'' მოჰარბებია იმ ყულაბის გასაკეთებელი ფული, ან და თვისი მოვალეობის ასრულება ისა ჰგონია, რომ ყულაბას ადგილი დაუთმო თავის დარბაზში! მაგრამ ამ-თი გულს ნურავინ გაიტეხს. ჯერ ერთი, რომ ამ გვარნი უფრო ცოტანი არიან და მომეტებული ნაწილი, როგორც, ვთქვით, დიდი ენერგიით ეკიდება საქმეს—მეორეც ესა, რომ ჯერ ეს საქმე ახალი დაწყებულია, ყველას არა ჯერათ, რომ ამ გვარათ, შეუჩნეველათ, ფულის შეგროვება ათას თუმნობითაც შემოიტანს თავის დროზე. მერე, როცა ნაყოფს დაინახვენ, ისინიც გულით მოჰკიდებენ ხელს, უკუაგდებენ თავის გულ-გრილობას საზოგადო საქმეში. ჩვენ მხოლოთ ამას ვეუბნებით, რომ დარიგებული ყულაბების რიცხვი, შედარებით, მცირედია. ფრიად სასურველია, რომ იმ პირთ, რომელთაც ჩვენი საზოგადო საქმისათვის გული შეტკივათ, თითონ მიმართონ ,,წერა-კითხვის საზოგადოებას'' და იკისრონ ყულაბი ფულის შესაგროვებლათ. ჰიმართავთ ჩვენ მოძმეთ, ამ ქამათ სხვა ქვეყნებში მცხოვრებთ, ვიცით, რომ ი'ხათ მეტათ შეტკივათ გული თა-

ვის სამშობლო მხარისათვის და არ დაზოგავენ დახმარებას.

ამისათვის იმედია, თითოეული ქართველი კაცი თავის წმიდა მოვალეობათ ჩათვლის ორი გროშის გამომეტებას და „წერა-კითხვის“ საზოგადოების ყულაბში ჩაგდებას.

ნ. ყიფიანისა.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ამას წინეთ გაზ. „თფილ ფურ.“ ში დასტამბული იყო შემდეგი ტელეგრამა პეტერბურგიდან: „ი. გ. მაჩაბლის პარტიის წარმომადგენელთა საჩივარზე ორი აზრია წარმოთქმული: ერთი—ორივე საზოგადო კრების დადგინებათა გაუქმებისათვის, მეორე მხოლოთ 19 ივლის ს სოგანგებო კრების დადგინებათა გაუქმებისათვის. ეს საკანონ საბოლოოთ გადაწყდებოდ ოცაგვისტოს“. ამ ტელეგრამის გამო ერთი თბილისელი გაზეთი წერდა, რომ ამნაირი აზრის წარმოთქმა შეუძლებელია, რადგანაც ბანკის გამგეობას არ დაჰკითხვია საკრედიტო კანცელარიაო. ამ ქამათ, აი, რას ეკითხულობთ ადგილობრივ გაზეთებში: „ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ რვა აგვისტოს მიიღო ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიისაგან ქაღალდი, ხელ-მოწერილი ვიცე-დირექტორის, ბ. ჟუკოვსკის მიერ: „საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებითი კანცელარია უმორჩილესათ თხოვს გამგეობას, რომ რაც შეიძლება ახლო ხანში, გამოგზავნოს უკანასკნელმა ამავე კანცელარიაში საზოგადო ჩვეულებრივისა და საგანგებო, კრებათა ოქმების პირი“.

მეტია აქ ლაპარაკი იმაზე, თუ რა განჩინებას დაადგენს ფინანსთა სამინისტრო ამ საჭირ ბოროტ საქმეზე. ჩვენ ვეკითხოთ მხოლოთ ის, თუ სად არიან ახლა ის ეაჟბატონები, რომლებიც ამ საქმის „კეთილ დაბოლოვებაზე“ გაიძახოდენ. საჭირო იყო მხოლოთ ცოტაოდენი გამჭრიახობა, რომ ამნაირი ფიქრი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო, რომ ამნაირი „ბოლო“ კიდეე უფრო გაძნელებდა და დაქსაქსავდა საქმეს. მაგრამ ვის უნდა მოეთხოოთ ჩვენ კეთილ-გონიერება და გამჭრიახობა საზოგადო საქმეში, როცა ჩვენი მეთაურნიც პიროვნულ ინტერესებს ვერ გაცილებიან.

* * *

გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით ამ ქამათ სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ პროექტი, რომელიც ეხება სამხედრო ბეგრის შეღავათის (ლგოტის) შემცირებას იმ პირთათვის, რომლებიც რაიმე განათლებას ღებულობენ. ეს პროექტი შემუშავებულია განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელიც შემდგარი იყო განათლების სამინისტროში, ბ. გეორგიევსკის თავმჯდომარეობით. ამ პროექტის ძალით განათლებულთათვის შემდეგი შეღავათი იქნება დაწესებული: 1) სამსახურის საზოგადო ვადა იმ პირთათვის, ვისაც არავითარი განათლება არ მიუღია,—5 წელი ნამდვილ სამსახურში და 13 წელიწადი ზაპასში. 2) შემოკლებული ვადა: ა) იმ პირთათვის, რომელთაც მეოთხე ხარისხის სასწავლებლის მოწმობა აქვთ,—4 წელი ნამდვილ სამსახურში და 14 ზაპასში; ბ) იმ პირთათვის, რომელთაც მიუღიათ სწავლა მაღალ, საშუალ და მესამე ხარისხის სასწავლებლებში,—3 წელიწადი ნამდვილ სამსახურში და 14 ზაპასში; გ) მესამე და მეოთხე ხარისხის სასწავლებელთა მასწავლებლებისათვის ერთი წელი ნამდვილ სამსახურში და 17 წელი ზაპასში. ეს პროექტი გაგზავნილი იყო ყველა სამინისტროებში და უმთავრეს გამგეობებში, რათა ამ უკანასკნელთაც წარმოეთქვათ ამ საგანზე თავიანთი აზრი. როგორც გაზეთები იუწყებიან ამ პროექტის წინააღმდეგი გამხდარა ფინანსთა სამინისტრო, რომელიც თავის ერცელ მოხსენებაში ამტკიცებს, რომ შეღავათის შემცირება იმ პირთათვის, რომლებიც რაიმე განათლებას ღებულობენ, დიდათ მავნებელი იქნებაო.

* * *

ქალაქის გამგეობის ცნობებიდან ჩანს, რომ წელს პირველ იანვრიდან პირველ ივლისამდე ქალაქს 659,002 მანეთი და 71 კაპ. შემოსავალი ჰქონებია; ივლისში შემოსულა 96,490 მან. და 80 კაპ., სულ 755,042 მან. და 79 კაპ. იმავე დროის განმავლობაში დახარჯულა სულ 616,157 მან. და 70 კაპ. ამნაირათ შემოსავალი აღემატება ხარჯს 138,885 მანეთით და 9 კაპ.

* * *

გაზ. „Нов Обоз“-ის პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ სოფ. ქვათანისა და გალაღიდის საზოგადოებათ უმაღლესი ბრძანებით, წყალდიდობისაგან დაზარალების გამო, მიეცათ სესხათ 15,000 მანეთი 4% ხუთი წლის ვადით.

* * *

ქართულ ენაზე კვალათ იწყეს უხეირო წიგნე-

ბის გამოცემა. მაგალითებრ, ამ დღეებში გამოიცა ერთი უმსგავსი ანბანი, 16 გვერდი, ფასი ორი შაური, გამოცემა აივაზოვისა. სერგეი მდივანოვის და ახპატელოვის „სიზმრის ახსნაც" კიდევ დასტამბეს. ეს უმსგავსი წიგნაკები ყოველ წელს ისტამბება და უმეტეს ნაწილს იმერეთში ავრცელებენ.

* * *

ამ ჟამათ თბილისში იბეჭდება მოსე ხონელის რომანი „ამირან-დარეჯანიანი". გამომცემელს, ბ. ზ. ჭიჭინაძეს, სურს, რომ ამ ძველ წიგნს ბოლოში ჩაურთოს ყველა ის ლექსები, ლეგენდები და ამბები, რაც კი ამირანის შესახებ ხალხში დარჩენილა; ამიტომ ის ითხოვს, ვისაც რამ ექნეს ამირანის შესახებ, ის ჩვენ რედაქციაში წარმოადგინოს, რაც დაუყოვნებლივ გამომცემელს გადაეცემა.

* * *

ქუთაისში ახალგაზდა ქართველ ყმაწვილ კაცს, ბ. ლალიძეს ერთი ბიჭი დაუქირავებია და ქართულ წიგნებს ატარებინებს და აყიდვინებს. საქმე თურმე კარგა მიდის და წიგნები გვარიანათ იყიდება ქუთაისის გარშემო სოფლებში. ბ. ლალიძეს ამ საქმით მხოლოთ წიგნების გავრცელება სურს და არა მოგება.

* * *

მეგრული ლოცვების საქმე ამ მოკლე დროში კვალათ განახლდა. დღეს მასზე სჯა და საუბარია გამართული.

* * *

სოფ. სამტრედიიდან „Нов. Обоз."-ის ატყობინებენ: ამას წინეთ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაადგინეს განაჩენი ს. სამტრედიის ქალაქათ გადაკეთებაზე. ამ დადგინების შესახებ საგუბერნიო გამგეობამ უკვე იშუამდგომლა, სადაც ჯერ არს. ამ ჟამათ სამტრედიაში ითვლება ოთხი ათასი მცხოვრები, რომელიც უმეტეს ნაწილათ აღებ-მიცემობას ეტანება. სხვა-და-სხვა სავაჭროების რიცხვი 413 აღის; 50 სიმინდის საწყობია, 2 ნავთის, ორი სამადნო წყლების ქარხანა და 11 აგურების. საერთო აღებ-მიცემობა სამტრედიისა ამ ჟამათ აღემატება მილიონ ნახევარ მანეთს. აქედან აშკარათ ჩანს, რომ სამტრედია, როგორც მცხოვრებთა რიცხვით, ისე აღებ-მიცემობით ბევრათ აღემატება სამაზრო ქალაქებს, როგორც არიან, მაგ., ოზურგეთი, ახალ-სენაკი და სხ. ამიტომ ქალაქათ გადაკეთება სამტრედიისა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

* * *

გაზ. „Приказ Кр."-ში წერენ შემდეგს: „განათლების სამინისტრო ადგენს ახალ განკარგულებას რუსული ენის სწავლებაზე კავკასიის ადგილობრივ მკვიდრთა სკოლებში, რომელიც ოლქის მზრუნველის მიერ გაეგზავნებათ ყველა სახალხო სკოლათა დირექტორებს. სახელმწიფო ენის შესწავლას მიქცეული ექნება განსაკუთრებითი ყურადღება. ამ განკარგულების შედგენის დროს მიღებული იყო მხედველობაში ყველა შენიშვნები ამ საგანზე კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის, კ. პ. იანოვსკისა, რომელსაც ბევრი ამაგი მიუძღვის ამ მხრით".

* * *

ბაქოს ყველა ნავთის ქარხნებში ამ წელს, პირველი ექვსი თვის განმავლობაში უშოვიათ 179.366,752 ფუთი ნავთი. გატანილა ყოველგვარი ნავთის ნაწარმოები კავკასიის რკინის გზით და კასპიის ზღვით იმავე ხნის განმავლობაში 130.453,000 ფუთი. თუ 1895 და 1896 წ. ნახევარი-წლები შევადარეთ ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ ნავთის შოვნა წელს შემცირებულა 23.845,412 ფუთით შარშანდელზე, გატანა კი შემცირებულა 17.425,000 ფუთით.

* * *

ჩვენ მივიღეთ ბათომიდან ბროშურა შემდეგი სათაურით: „М. С. Бетановъ. Эксплоатація Кавказской Бѣлой Инфузорной Земли (Кизельгуръ) и Пестраго Инфузорита". ამ წიგნაკში აწერილია ინფუზორიტის თვისებანი და აგრეთვე მისი ხმარება სხვა-და-სხვა საალებმიცემო და სამრეწველო საქმეში. ყოველსავე ამას ზე-დართული აქვს სხვა-და-სხვა სპეციალისტთა აზრი.

საყურადღებო ამბები.

ლეჩხუმი. ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ლეჩხუმის საფილოქსერო დასმა ს. ორხევში პირველათ აღმოაჩინა ფილოქსერა გლეხი ივანე გაბიზაშვილის ვენახში. აქამდე ფილოქსერა იყო მოსული ს. დერჩამდე და დღნორისამდე; ახლა კი, როგორც ვხედავთ, შვიდი ვერსის მანძილზე წაუწევია მას ლეჩხუმისკენ. ფილოქსერა—მოდებული ვენახი გაბიზაშვილისა 400 ოთხ-კუთხი საჟენია. ფილოქსერა აღმოჩნდა ასამდე ვაზზე. საფილოქსერო

დასმა დაიწყო დაწვლილებითი ჩხრეკა ყველა ახლომახლო ვენახებისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვაგან არა აღმოჩენილა რა. უეჭველია, ივანე გაბიზაშვილის ვენახს ისეთივე დღე დაადგება, როგორიც დაადგათ ს. დერჩში და დღნორისაში აღმოჩენილ ფილოქსერიან ვენახებს. ამიტომ პატრონი ფრიად წუხს და გოდებს, აღარ იცის, რა ქნას დარდისაგან. მართალია, მას ამშვიდებენ, როდესაც ეუბნებიან, რომ საფილოქსერო კომიტეტი დაზარალებულთ აძლევთ საჩუქარს, მაგრამ რას შეადგენს კომიტეტის 100 ან 200 მანეთი იმ ვენახთან შედარებით, რომელიც მარტო ერთ წელიწადს მისცემდა ამდენივე შემოსავალს პატრონს?! ყოველ შემთხვევაში, როდესაც კი ვზრუნავთ მთელი საზოგადოების კეთილ-დღეობაზე, არ უნდა დავივიწყოთ კერძოთ თითოეული პირის კეთილ-დღეობაც. ვინ არ იცის, რომ საფილოქსერო კომიტეტი დიდი განსაცდელისაგან იხსნის მთელ მხარეს, როდესაც სპობს იმ ვენახს, სადაც ახლათ გაჩენილა ფილოქსერა; მაგრამ კომიტეტს ისიც არ უნდა დაავიწყდეს, რომ მთელი საზოგადოების სიკეთის აშენება კერძო პირის განადგურებაზე, უსამართლოებაა. როდესაც ივანე გაბიზაშვილის ვენახი ისპობა, ისპობა ამასთანავე მტერი მთელი საზოგადოებისა, მაშასადამე, ივანე გაბიზაშვილი თითქმის მსხვერპლია საზოგადოებისა და ნუ თუ ამას შემდეგ ზნეობით ვალდებულნი არა ვართ ეს პირი დავასაჩუქროთ ღირსეულათ? ღირსეული დასაჩუქრება კი, ჩვენის აზრით, ის იქნება, როდესაც კომიტეტი დააფასებს გაბიზაშვილის ზარალს და ამის-და-გვარათ უზღავს ნაზარალევს. მართალია, გაბიზაშვილსაც მიუძღვის დანაშაული, ვინაიდგან მას ვაზის ლერწი იმ სოფლიდან უნდა ჰქონდეს გადმოტანილი, სადაც ფილოქსერაა, თუმცა, ამას თვით არ ამხელს; მაგრამ ეს მისი საქციელი არის ნაყოფი მხოლოთ მისი უმეცრებისა, ურწმუნოებისა, რაც უნდა იქმნას მხედველობაში მიღებული ვისგანაც ჯერ-არს, ე. ი. საფილოქსერო კომიტეტისაგან.

ლეჩხუმში ხანგრძლივ გვალვას ბოლო მოუღო წვიმამ, რომელიც გაგრძელდა სამ-ოთხ დღეს, 24—27 ივლისამდე და რომელმაც გამოაბრუნა ღონემიხდილი სიმინდი. მაგრამ რა? ხელახლათ გვალვა დაიწყო და სიმინდს ფოთოლი ისევ შეახმო, ყანების მკას შეუდგენ აქ. პურის მოსავალიც შარშანდელზე ნაკლებია.

დროებით ლეჩხუმელი.

*
* *

საიდგან წარმოდგა სიტყვა „აბასთუმანი“?

როგორც მოგეხსენებათ, დაბა აბასთუმანი გახლავთ აგარაკი ახალციხის მაზრაში, ქვაბლიანის საბოქაულოში, ოცხის ხეობაში. აქ არის შვენიერი და თფილი სამკურნალო წყლები. „აბასთუმანს“ რუსულათ წინეთ წერდენ ამ გვარათ: „Абасъ-Туманъ“; ამ ბოლოდროს კი ეს სიტყვა შეაერთეს ასე: „Абастуманъ“. რასაკვირველია, უკანასკნელი უნდა იყოს მართლწერა.

იმ ადგილს, საცა ახლა აგარაკი აბასთუმანია, ისტორიული სახელი აქვს ოცხე. მოხუცებული ქართველობაც, რომელმაც კი იცის ამ თფილი წყლების არსებობა, უწოდებს ამ სახელსვე. ხოლო აბასთუმანი კი ჰქვია პატარა სოფელს, რომელიც მდებარეობს ოცხის ხეობაში, შესავალს შარა-გზაზე (შოსეზე), სოფელ ვარხანის იქით. *) აი, ამ სოფლის სახელი ვილაცას წყალობით გადასულა ოცხეზე. მე მგონია, ეს უნდა იყოს სომხისა ან რუსის ექიმის წყალობა. ალბათ სიტყვა „ოცხე“ არ მოეწონა, ისტორიული სახელი ჩამოართვა იმ ადგილს და მახლობელი სოფლის სახელი აბასთუმანი უწყალობა. ამის მაგალითები ბევრია საქართველოში. თუ კი სრულიად გადაგვარება სახელებისა მოახერხეს, ამას რაღა დაუშლიდათ. მაგალითათ სოფელი „სხვილისი“ (4 ვერსზეა ახალციხიდან) მოუნათლავთ სუფლისათ, სოფელი „ზველი“—ზურზელათ და სხვა.

რადგან აგარაკ აბასთუმანში (ოცხეში) საშინელი სიძვირეა, ამის გამო ვილაცას გაუხუმრია: „თუ წინეთ აბაზი გყოფნიდა, იმ ადგილს ახლა თუმანი არის საჭიროვო. აი, აქედან, წარმოდგა სიტყვა აბასთუმანიო—„აბაზი-თუმანი“. ზოგიერთს ეს ჭეშმარიტებაი მიუღია და მართლაც ასე ჰგონია. ეს რომ ასე იყოს, მაშინ საქართველოს ყველა აგარაკს აბასთუმანი ერქმევოდა. განა კოჯორი ან ბორჯომი კი ჩამოუვარდება აბასთუმანს სიძვირეში?..

ზისერმანი „თფილისის გუბერნიის აღწერაში“ აბასთუმანს მოიხსენიებს და ამბობს: აბასთუმნის თფილ წყლებში შახ-აბასი ბანაობდაო. უცებ თავს წამოადგა დიდ-ძალი მტერი. შახ-აბასმა ჩაცმაც ველარ მოასწრო რიგიანათა. ასე რომ პერანგის ამხანაგი იქ დარჩა. ხალხმა დაინახა და დაიძახა: აბასის თუმანი, აბასის თუმანიო!“ (თუმანი ოსმალურათ პერანგის ამხანაგსა ჰქვიან). ამიტომაც ზისერმანისა და ზოგიერთი სხვების აზრით უნდა დაიწეროს: „Абасъ-Туманъ“.

მე კი ახალციხეში ერთმა მოხუცებულმა აბასთუმანზე მიამბო შემდეგი: „იმ ადგილას, საცა სამ-

*) ახალციხიდან აბასთუმანში მიმავალს შარა გზაზე (შოსეზე) შეხვდება მხოლოთ სამი სოფელი: ბენარა, ვარხანი და აბასთუმანი. სამივე სოფელში გაივლის შარა-გზა; უკანასკნელი არის აბასთუმანი.

კურნალო თბილი წყლებია, ჰქვია ოცხე. აბასთუმანს შეცდომით ეძახიან. აბასთუმანი არის პატარა სოფელი ოცხის ხეობის შესავალს. აქ ძველათ დიდი ქალაქი ყოფილა. ისე დიდი, რომ ერთი დიდი უბანი სულ ხაბაზებს (პურის მცხობლებს) ჰქრიათ. ეს უბანი იქ ყოფილა, სადაც ახლა სოფელი აბასთუმანია. ქალაქი ურჯულოებმა ისე ააოხრეს, რომ ქვა-ქვაზედაც არ დატოვეს; ხალხი ამოწყვიტეს და ქალაქიც მოისპო. ხაბაზთ უბანში შემდეგ ისევ დასახლდა რამდენიმე კაცი და ეს სოფელი იქიდან არისო. ძველათ ამ სოფელს ეძახოდენ ხაბაზთ უბანს, მაგრამ შემდეგ აბასთუმანათ გადააკეთესო".

მგონებ ეს თქმულება ჭკუასთან ახლოს უნდა იყოს. რომ ოცხის ხეობის შესავალს არაბებმა ქალაქი ააოხრეს და გაანადგურეს, ეს ისტორიულათ ცნობილია. ის ხომ ადვილათ შესაძლებელია, რომ „ხაბაზთ უბანი" აბასთუმანათ გადააკეთეს. თუ კი სხვა სახელები გადააკეთეს, ამას ვინღა დაუშლიდა. გურიაში დაბალი ხალხი ახლაც აბასთუმანს ეძახის ამ ადგილს. ისიც შეიძლება, რომ, საცა ახლა სოფელი აბასთუმანია, იქ დიდ-ქალაქის დროს იყო აბაზაქანთ უბანი: ვერსის ან ვერს ნახევრის სიშორეზე ამ სოფლიდან ახლაც არის ერთი სოფელი სადაც სულ აბაზაძეები ცხოვრებენ, მახმადიანი ქართველები. ერთი სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სიტყვა „აბასთუმანი" არც აბაზი-თუმანიდან წარმოდგება და არც შახ აბასის თუმანიდან (ჰერანგის ამხანაგიდან),—ან უნდა იყოს ხაბაზთ უბანი და ან აბაზაანთ უბანი.

გ. ბ.

* *
*

დაბა ჩოხატაური. ჩვენში ამ ჟამათ ორიოდ მოსახლეს ვერ იპოვით, რომ მჭადსა და ღომს გირვანქობით არ ყიდულობდეს. მიწის სივიწროვის გამო თუ ვინმეს ძროხა მოეპოვება ისიც შიმშილით უკვდება და ძველ ტყავათ არის გამხდარი; აბა, ღორი რაა და, ისიც ეზოში ჰყავთ ბაწრით მიბმული.

წინა წლებში ჩვენებური გლეხები მორჩებოდენ თუ არა რთველს, მაშინვე მიეშურებოდენ სამუშაოთ, საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში, მაგ., ბათომში ქუთაისში, ფოთში, სოხუმში და ნოვოროსისკში. მაგრამ უმეტესათ კი ბათომში, სადაც შესანიშნავი ნავთის ქარხნებია და თუმცა წინანდელებრ კარგს ქირას ვეღარ ღებულობდენ, მაგრამ იმათ მაინც აქ ერჩიათ, რადგანაც თავიანთ ოჯახებთან ახლოს იმყოფებოდენ; ოქტომბრის პირველ რიცხვიდან წასული მუშა რჩებოდა გარეთ მარტის დამლევამდე და რასაც შოულობდა, ამით აკმაყოფილებდა სხვა-და-სხვა მოთხოვნილებას, რომლის აღნუსხვა აქ საჭირო არ არის.

საუბედუროთ, წარსულ წლის მეორე ნახევარს, ბათომის ნავთის ქარხნებში თითქმის შეწყვეტილი იყო მუშაობა, რის გამო სოფლის მუშა ხალხი იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. ამ ნაირათ მრავალი გარემოებანი შეერთდენ ერთათ, რომ ისეთაც დაცემული მდგომარეობა ხალხისა, კიდევ უფრო ძირს დაცემულიყო. ამ ნივთიერი განადგურების დროს გარდასახადები ისევ იმოდენივე რჩება, რაც ჩვეულებრივათ ყოფილა. ვინ ააცდენთ გარდასახადს? მამასახლისებმა მკაცრი ბრძანება გასცეს თავიანთ ნაცვლებზე და ყველა ხელქვეით მოხელეებზე, რომ ფულები უკლებლათ აეღოთ კომლზე 27 მანეთი და „კაზიონი" 80 კაპეიკი.

მე თითონ ვნახე, რომ ერთ საბრალო გლეხს სიმინდი გამოუყარეს ნალიიდან იანვრის დღეში თავ გასულმა მოხელეებმა და, რა რომ გადასახადში სიმინდი არ აუთავდათ, ნალიაც ზედ დაამატეს. ეს უყვეს სწორეთ იმ დროს, როცა საბრალო (ბ. ს. ძე,) ავათმყოფი ლოგინათ იყო ჩავარდნილი. ამნაირი შემთხვევით ისარგებლეს „დავით დროიძეებმა" და რაც რამ სარჩო-საბადებელი ჰქონდათ გლეხებს, შეიყიდეს სულ, მესამედ ფასათ. აბა, რა გზა ჰქონდათ გლეხებს რომ არ დათანხმებოდენ? რა წყაროდან მიეცათ გარდასახადები? გაუპატიურებას ისევ არჩიეს შიმშილი და, აი, სწორეთ ეს გახლავთ მიზეზი, ჩემო მკითხველო, რომ ჩვენებური გლეხები ამ ჟამათ ყველა მჭადს ჰყიდულობს. კიდევ კარგი, რომ წესიერ ფასათ იძლეოდენ ვაჭრები, მაგრამ ეს ასე არ არის. იმ სიმინდს, რომელიც გლეხისგან შეიყიდეს დროიძეებმა 25 კაპ. ისევ გლეხებივე ყიდულობენ 80—100 კ. იმასაც ბევრი ხვეწნით და მუდარებით.

ლ. ჩოხატურელი.

* *
*

ქ. ახალციხე ქუთაისის ნახევრის ოდენა იქნება. იგი გადაფენილია ორ პირდაპირ მდებარე კორდზე, რომლებიც იყოფებიან ერთი ერთმანეთისაგან მდ. ფოცხოვის წყლით. ამნაირათ ახალციხე იყოფება ორ ნაწილათ: ერთ ნაწილს ეძახიან „რაბათს" ანუ „ძველ-ქალაქს" და მეორეს „პლანს" ანუ „ახალ-ქალაქს". რაბათში ცხოვრებდენ, როგორც რჯულით, აგრეთვე ტომით ქართველები. მათგან ერთმა ნაწილმა მაჰმადიანობის დროს მიიღო კათოლიკობა, მეორემ კი ძველი სარწმუნოება შეინახა. ახალციხის აღებას შემდეგ (1828 წ. 15 აგვისტოს), პასკევიჩმა აქ გადმოასახლა სომხები, რომლებმაც გააშენეს „ახალი ქალაქი" და ახლა შეადგენენ მკვიდრთა უმეტეს

ნაწილს, არა თუ მარტო რიცხვით, არამედ ეკონომიურათაც. ამას გარდა „პლანში" ცხოვრებენ რუსები, „რაბათში" ურიები, ბერძნები და სომხები.

გასულ წელს აქ დაარსდა წიგნთსაცავი. სწორეთ მადლობის ღირსია ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ბურჭულაძე, რომელიც თავგამოდებით შრომობდა ამ საქმის დამთავრებისათვის. წიგნთსაცავში მოიპოვება ქართულ-რუსული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

მსურს აგრეთვე ვაცნობო „კვალის" მკითხველებს, რომ „ძველ-ქალაქში" არსებობს ორ-კლასიანი საქალებო სკოლა.

მას შემდეგ რაც ანნა მუსხელაშვილისა გარდაიცვალა ეს სკოლა უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც ეს უკანასკნელი ყოველ მხრივ დიდ დახმარებას უჩენდა ამ სკოლას.

შარშან სხვა-და-სხვა პირების შემწეობით და მეცადინეობით შედგა საზოგადოება ამ სკოლის შენობის ასაშენებლათ; ეს შენობა აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც შენდება, მაგრამ დასრულება როდის ეღირსება ვინ უწყის, რადგანაც საზოგადოება ძლიერ გულგრილათ ეკიდება ამ სასარგებლო საქმეს.

ახალციხელი.

* * *

ქვემო-მაჩხაანი. ამ დღეებში აქ იყო კრება ქიზიყის სახალხო დეპოს წევრების და არა წევრების თანა დასწრებით. ანგარიშმა გვიჩვენა შემდეგი: დეპოს ჰქონია წევრთაგან შემდგარი სათანხო ფული 9030 მ. (გარდა თფილისის ვაჭრებისაგან ნისიათ მოტანილი საქონლისა). ამ ფულით ათი თვის განმავლობაში უვაჭრია დეპოს 40,529 მ. და 65 კ., მოგება ყოფილა 4398 მ. და 80 კ.; ამ მოგებიდან გამოირიცხა გამგეობის წევრთა ჯამაგირი დეპოს სხვა ხარჯთან ერთათ; და წევრებს შეხვდათ ათი თვის დივიდენდათ მანათზე 13%, აქედანაც თანახმათ წესდებისა გამოერიცხათ 20% საქველ-მოქმედოთ და 20% ძირის თანხის გასადიდებლათ.

კრებაზე ყველა კითხვა თავის შესაფერი სჯაბაასით იყო განხილული და გადაწყვეტილი, რადგანაც თითქმის მთელი ქიზიყის ინტელიგენცია დასწრო. სხვათა შორის შემდეგ საგნებზე ჰქონდათ სჯა: 1) დეპოს ალებ-მიცემობის გაძლიერებაზე დ განყოფილებების დაარსებაზე; 2) ღვინის, მატყლის, სულადის, თამბაქოს და სხვა ნაწარმოების შინ და გარეთ ბაზრის მოპოვებაზე; 3) შალების, ხურჯინების და ფარდაგების საფეიქროს გახსნაზე.

ამ საგანზე სჯამ გამოიწვია ის აზრიც, რომ დღეს ჩვენში, ქიზიყშიაც, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, „ძალიან მრავალ არს სამკალი და ძალიან მცირედ არიან მომკალნი", თორემ ჩვენ რომ მტკიცე ძმობა—ერთობის ძალით იმ ჩვენ მილიონ მანეთებს ჩვენვე ვიბრუნებდეთ ყოველ წლივ, ჩვენი ალებ-მიცემობის სხვისა ხელიდან გამოცლით, მაშინ არა თუ საშუალო სასწავლებელს, უმაღლეს სასწავლებელსაც კი გაუძლებოდა სიღნაღის უმდიდრესი მაზრა-ქიზიყი. ამ კრებაზე დეპოს ახალი წევრებიც ბევრი შეძინა.

კრებაზევე ბ-მა ი. გომელაურმა ასესხა დეპოს ალებ მიცემობის გასაძლიერებლათ ათას ცხრაასი მანეთი. კრებამ გულითადი მადლობა გამოუცხადა დეპოს გამგეობას და რევიზიის წევრებსაც საქმის კეთილ-სინდისიერათ და ბეჯითათ წარმოებისათვის.

დეპოს წევრთაგანი.

* * *

ქვემო რაჭა. სოფელ ამბროლაურში საავათმყოფოს დაარსებამ, და მასთან ექიმის და ფერშლების მუდამ იქ ყოფნამ მთელ რაჭას დიდი შემწეობა აღმოუჩინა. იმისთანა დღე არ გაივლის, რომ ორმოცი ხან სამოცი ავათმყოფი არ ეხვივნენ ექიმს გარს; ზოგი გაშინჯვას ითხოვს, ზოგი წამალს და ზოგიც რას. წამალს, თუ ღარიბია ავათმყოფი, უფასოთ აძლევენ. ამბროლაურში რაც საავათმყოფო გაიხსნა, მას აქეთ მხოლოთ ორი წელი იქნება. ექიმი პირველათ რუსი იყო, ამ ჟამათ კი ქართველია, ბ. ნადირაძე. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ბ. ნადირაძე ერთობ ძლიერ გამჭრიახი კაცია და ამასთანავე კეთილი და ქველ-მოქმედი.

ამბროლაურში დაარსდა უფასო სამკითხველო; ამ სამკითხველოს ქართული წიგნები ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტა აქვს. ამას წინეთ მე და ერთი ჩემი ამხანაგი მივედით სამკითხველოში წიგნების წასაღებათ. სამკითხველოს გამგეს ბ. მაჭარაძეს მოვთხოვეთ კატალოგი, რომელმაც ძლიერ გაგვაკვირვა, რადგან გვაჩვენა კატალოგი რუსულათ შედგენილი. სწორეთ ეს დიდი შეცდომა მოსვლია, ვინც ამის შედგენა ასე ინება. ერთიც ვნახოთ ვინმე ქართველი მკითხველი მივიდა, რუსულის არ მცოდნე, იმან როგორ უნდა ისარგებლოს ამ კატალოგით? ვგონებ უმჯობესი იქნებოდა, რომ ქართული წიგნების დასახელება ქართულათ იყოს ჩაწერილი და რუსულის-რუსულათ.

განო ჭიჭინაძე.

* *
*

ს. წევა (შორაპნის მაზრა). 15 ივლისს იმერეთში დღესასწაულობენ კვირიკობას; მაგრამ ისეთი ამბით არსად იციან კვირიკობა, როგორც ს. წევაში. ორი დღის წინეთ დღესასწაულისა, დ. ზესტაფონიდან, ქუთაისიდან და თბილისიდანაც ვაჭრები მოზიდევენ სხვა-და-სხვა საქონელს, ქირაობენ აქ კარვებს, რომლებსაც ამ დღისთვის მცხოვრებლები აკეთებენ და იმართება ვაჭრობა.

წლევანდელი ვაჭრობა, როგორც ამბობდენ, უწინდელთან შედარებით ძლიერ ნაკლები იყო, რადგან მოვაჭრენი ნაკლებათ იყვენ. ეს, რასაკვრელია, იმის გამო მოხდა, რომ გზები შარშანდელი და წლევანდელი წყალდიდობისგან გაოხრებული იყო და ვაჭრები უგზოობამ შეაშინა. შემოსავალი წლევანდელი ვაჭრობიდან გადადებულია აქაურ სამრევლო სკოლის სასარგებლოთ.

მოთამაშე ბავშები.

ამ დღეობამ იმსხვერპლა ორი მექალამნე სოფელ ქვიტირიდან (ქუთაისის მაზრა), ფხაკაძენი. უბედურები სალამოს სავაჭროდან ს. ქალაში მიდიოდენ, უმთვარო ღამე იყო; სოფლის ახლო ვილაცები დახვედროდენ, გაეცარცვათ და კიდევაც მოეკლათ. დილით ადრე დ. ყვირილის ბოქაულს შეატყობინეს და მისი მეცადინეობით ამოჩინეს ის ოჯახი, სადაც ლამე მკვლელებს გაეთიათ.

ს. ჯი-ლი.

*
* *

გაცივდა გული, მგზნებარე,
გარდიქცა ყინულ-სალადა,
თუნდა გენიაც შეეუნთო,
აღარ გათბება ძალათა!..
რაც მწამდა, იგი აღარ მწამს,
რაც მწამს, უარ-ვყოფ მასაცა,
სისხლის მსმელ მხეცათ მივილებ
თვით ღვიძლზე ნადებ ძმასაცა...
რა არის მთელი ქვეყანა?
—ღორძი, სიყალბით მბრუნავი,
რა ხარ შენ, ძეო ადამის?
—მძორი სისხლით ტბაში მცურავი!
გული ერთს გითხრობს, წყეულო,
ენა კი სხვაფრივ მთქმელია,

გველი გჯობს, კერძოვ გველისა,
ის მაინც გარეთ ჭრელია!
და რაღა დამრჩა, რომ კვალად
ცხოველ ჰყოს რწმენა, წამწყდარი?
—არა-რა, ქვეყნათ არა-რა,
განქრა სიწმიდის ტაძარი!..

განდეგილი.

1896 წ. 3 აგვისტო.

გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე.

წერილი I

ჩვენ გავემგზავრეთ 25 მოწაფე და ერთი ჩვენი მასწავლებელი ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე. წინათვე გადაწყვეტილი იყო, რომ ბაქოზე უნდა წავსულიყავით, ბაქოდან პეტროვსკამდის, შემდეგ სულ რკინის გზით ვორონეჟზე, მოსკოვს და იქიდან ნიჟნისკენ უნდა გამოვტრიალებულიყავით. თბილისის სადგურზე მესამე კლასის — ნახევარი ვაგონი დაგვითმეს და მიკვირს, ცოცხლები როგორ ჩამოვედით ბაქომდის. მეგონა გზაზე მოვიხრაკებოდით; საშინელი სიცხე იყო, მაგრამ მაინც ისე მხიარულათ მოვდიოდით, რომ ეს თითქმის არც შეგვინიშნავს. გასაგრილებლათ ფანჯრებიდან წყალს ვასხამდით ერთმანეთს; საუბედუროთ, ეს დროს გატარებაც დაგვმწარდა: ერთმა მოსწავლემ ისე კარგათ გადაასხა ერთი ფანჯრიდან მეორეში წყალი, რომ თავიდან ფეხებამდის გაწუწა ჩვენი მასწავლებელი. ამას შემდეგ, რასაკვირველია, წყალს თავი დავანებეთ. ცოტა რომ შეღამდა, შუა ვაგონში ჩაის სმა გავმართეთ, ამოვალაგეთ სახლიდან წამოღებული საგზალი და ისეთი ლხინი გავმართეთ, რომ უკეთესი არ შეიძლება. ჩაის დალევის შემდეგ, ორი საათი ვისაუბრეთ იმაზე, როგორ დავიძინოთ ღამე; დიდი სჯის მერე გადავწყვიტეთ, რიგ-რიგათ ორ-ორი საათი ვიძინოთო, მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ მოეწყო; რვა მოსწავლე დაწვა და დაიძინა. გავიდა ორი საათი, ბევრი ვაღვიძეთ, მაგრამ ტყუილათ! ჩვენი ხმა კი არა, ზარბაზანი რომ გაგვევდო მათ თავთან, მაინც ვერ წამოვაყენებდით. სხვა ღონე აღარ იყო, ძილი არ შეიძლებოდა, ჩვენ გადავწყვიტეთ ქაღალდის თამაში; გავიყავით ჯგუფ-ჯგუფათ და ცხარე თამაში გაიმართა, ხან ერთ კუთხეში და ხან მეორეში, ღამე გაისმოდა რომელიმეს ყვირილი; გაიხედავდით და დაინახავდით, რომ ამხანაგს დაუჭერია ხელში სათამაშო ქაღალდი და გატაცებით ურტყამს ცხვირზე. დილისთვის საჩხუბრათ მოვემზადეთ, გვინდოდა მძინარაებისთვის დაგვემწარებინა ადგილების წართმევა, მაგრამ როცა ადგენ, სიცილის და შეცოდების მეტი ველარაფერი მოვახერხეთ: საცოდავები კოლოებს ისე დაეკბინათ, რომ ადამიანის სახე აღარ ეტყობოდათ, რამსიგძე სახეც ქონდათ, იმ სიგანე გახდომოდათ.

რვა საათზე ბაქოში ჩამოვედით. გვინდოდა ქალაქის დათვალიერება, მაგრამ დრო არ გვქონდა, ცხრა საათზე ჩვენი გემი „ადმირალ კორნილოვი“ ადგილიდან უნდა დაძრულიყო.

გემზე კაპიტანი დიდ პატივისცემით დაგვხვდა: მესამე კლასის ბილეთები გვქონდა, მაგრამ იმან პირველი კლასის კაიუტ-კამპანია დაგვითმო. ჩვენ სულ პირველი კლასის პალუბაზე ვიყავით. ჯერ შვენიერი დარი იყო, გემი ნაზათ მიცურავდა ზღვაში და ჩვენ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა; მაგრამ თითქმის ყველას მალე დამწარდა ეს სიამოვნება; ზღვამ ნელ-ნელა ღელვა დაიწყო პატარ-პატარა ზვირთები გამოჩნდა და ჩვენი გემი ზედ ადიოდ-ჩამოდიოდა. ჯერ ერთ მოსწავლეს აერია გული, მერე მეორეს, მესამეს—და მერე საითაც გაიხედავდი, გადაყუდებულ და საქმეში გართულ მოსწავლეს დაინახავდი. მასწავლებელმაც ველარ მოითმინა და მათ მიჰბაძა, მარტო მე და ერთი მერვე კლასის მოწაფე გადავრჩით და გაფაციცებით ვეხმარებოდით ხან ერთს და ხან მეორეს. ბოლოს კაპიტანმა შეგვიცოდა და ნება მოგვცა, ავათმყოფები მის პატარა პალუბაზე წაგვეყვანა. ჩვენც წავათრიეთ ყველა ჩვენი ამხანაგები; იქ ცოტა დამშვიდდნენ, მაგრამ კაპიტანს ვერაფრით გადაუხადეს პატივისცემა; უკითხავათ შევიდა სამი მოსწავლე მის ოთახში და მთელი ღამე იქ დარჩენ; უბედური კაპიტანი რამდენჯერაც მივიდოდა ოთახში შესასვლელათ, შიგნიდან ხმას გაიგონებდა და უკან ბრუნდებოდა; დილას როგორც იქნა, დაცალეს, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში დატოვეს, რომ სამმა მატროსმა ძლივს მოაქრისტიანა.

მთელი ღამე პალუბაზე გვეძინა, გავეხვიეთ ჩვენ საბნებში და გავიშხვართეთ იატაკზე. დილას ოთხ საათზე ავდექით, გვინდოდა მზის ამოსვლისთვის გვეყურებინა, მაგრამ ცა ღრუბლებით იყო მოფენილი და მზე თორმეტ საათამდის არ გამოჩენილა. ორ საათზე მივუახლოვდით პეტროვსკს; ჩვენმა ავათმყოფებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს და ღმერთს მადლობას უხდიდენ, რომ ეს „საძაგელი“ ზღვა გათავდა. მე და ჩემი ამხანაგი კი გულ-დაწყვეტილი ვუყურებდით პეტ-

როვსკს. რამდენათ ჯობს გემით სიარული მატარებელში ყოფნას. სამ საათზე კავკავში მივდივართ, იქიდან ვარონეჟში და მერე მოსკოვს.

ელიკო.

საისტორიო მასალა № 2.

აღწერა

საწერეთლოს მხენელ-მთესველთ გლეხკაცთ გარდასახადის წლეულათ, მაგალითებრ, შორაპნის მაზრაში.

უდიდესი ანუ პირველი გადამხდელი და მუშა გლეხნი.

ოც-და-ათი კოკა ღვინო, კოკა ესე შეადგენს რვას დოქს, რომელიც თითო დოქში გამოვა ორ მანერკა ნახევარი ღვინო; ათი კოდი პური, რომელ თითო კოდი არის ოთხ-ოთხი ბათმანი; ხორცის ფასათ ორს მანეთს საშობაოთ, ორს მანეთს სააღდგომოთ მთელს წელიწადში რვას ქათამს, ქორწილის დროს ერთ ძროხას, და რომელიმე გარნა არა ყოველნი შობას დღეს ცხრას პურს და ერთს ქათამს. ბატონი მივა, თუ ბატონის აზნაურშვილი, ან მოხელე ღამის გათევა და ჭმევა; სამ დღეში უღლის ხარით ყოველ კვირაში მუშაობა, გარნა ლეწვის დროს ცალი ხარი და ერთი კაცი ლეწვის გათავებამდე იქნება, მაშინ სხვას აღარას მუშაობს. მთის ადგილებში მოსახლენი არ აძლევენ ღვინოს, პურს მისცემს თხუთმეტს კოდს, რომელ კოდში გამოვა ოთხი ბათმანი, ხორცის ფასს, როგორც ზემოთ აღწერილი არს. ხარით არ ხვნენ არც ლეწვენ. სხვებრ კვირაში სამს დღეს იმუშავებენ და სხვა ყოველი ზემორებრ.

შემდგომი ანუ მეორე გარდამხდელი გლეხკაცი.

ოც კოკა ღვინოს იმავე კოკით, ექვს კოდს პურს იმავე კოდით, მანეთს საშობაოთ, ოთხ აბაზს სააღდგომოთ, ხუთ ქათამს წელიწადში, ქორწილის დროს მესამედის ძროხის ფასს,—კვირაში ხარით და კაცით მუშაობს და ლეწვის დროს ისე, როგორც ზემოთ აღწერილი არს. მთის ადგილებში რვას კოდს პურს, მანეთს საშობაოთ, მანეთს სააღდგომოთ. მუშაობა, როგორც ზემოთ აღწერილი არს თუ მარტო-ხელი კაცი არ არის.

კიდე შემდეგი ანუ მესამე გარდამხდელი გლეხი-კაცი.

ათს კოკა ღვინოს იმავე კოკით, ოთხს კოდს პურს იმავე კოდით, სამს აბაზს საშობაოთ, სამს აბაზს სააღდგომოთ, ქორწილის დროს მეექვსე ნაწილს ძროხის ფასს. მუშაობს ხარით თუ კაცით ზემოთ აღწერისამებრ, თუ მარტო-ხელი არ არის. მთის ადგილებში: პურს ხუთს კოდს, სამ-სამ ბათმანს, ორ-ორ აბაზს საშობოთ და სააღდგომოთ; მუშაობს როგორც სხვათა აღწერილი არის ზემოთ.

მეოთხე აზატათ წოდებული.

გარდასახადს არას აძლევს, ბატონი ანუ ბატონის კაცი თუ ეწვევა აჭმევს, არ მუშაობს; ქორწილის დროს ძროხას გარდიხდის შემძლე მთელს, შუა ნახევარს, მესამე მესამედს: ასევე მთის აზატი გლეხი კაცი და მსახურს აძლევს მიუცილებლათ. ყოველნივე ზემოთ აღწერილნი გლეხნი მოვალე არიან ყმისა და მამულის ყიდვის დროს მეზბტონეთა თეთრით შეწევის, ასევე ვალში შთავარდნის დროსა, და ეგრეთვე თუ ჰყავთ ცხენის, თხოვებისა ლაშქრობის დროს ანუ სხვა დიდ საჭიროების დროსაცა.

პოდპოლკოვნიკი კნიაზ გრიგოლ წერეთელი
კნიაზ წერეთელი ბერი
კაპიტანი თავ. ნესტორ წერეთელი
კნიაზი ნიკოლოოზ წერეთელი
პოლკოვნიცა კნეინა ქეთევან წერეთლისა
ღენერალშა კნეინა სალომე აფხაზისა
კნეინა ელისაბედ წერეთლისა
კნიაზი ქველი წერეთელი.

მუხის ფოთოლი და ჭანდარი.

(ლერმონტოვიდან)

მუხის ფოთოლი მოცილდა თავის მშობელ შტოს
იყო განდევნილ ქარისგან იგი მინდვრათ შორს.
გახმა და დაჭკნა სიცივითა და მწუხარებით,
ბოლოს შავ ზღვამდის მიახწია ძლივს გაჭირვებით.
შავი ზღვის პირას ქორფა ჭანდარი იმას დახვდება,
მის მწვანე ფოთლებს ქარი ნელა ეალერსება,
სამოთხის ჩიტნი შეამკობენ ლამაზ ჭანდარსა
გალობით ქებას შეასხამენ ზღვის ქალ-მეფასა...
აქ ჩვენმა მგზავრმა დაისვენა ჭანდარის ძირში,
თხოვა, მიეცა მისთვის ბინა, ნუგეში ქირში.
— მე ვარ საწყალი, მუხის ფოთოლი, ასე ამბობდა
უდროოთ გაზდილი, დამწიფებული ლაპარაკობდა:
უსაფუძვლოთა დავხეტიალობ ბედკრული ველათ,
გავხმი უჩრდილოთ, უძილოთ დავჭკნი და მოუსვენრათ.
მომეცი ნება, დამაყენე შენ ფოთლებთანა,
ზღაპარი კარგი ვერვინ გითხრას შენ ჩემისთანა.
„მე რათ მინდიხარ? უპასუხა იმან ამაყათ:
ჩემ ნორჩსა ფოთლებს არ არგიხარ შენ ამხანაგათ
ბევრი გინახავს, მაგრამა რად მინდა შენი ამბავი?
სამოთხის ჩიტთაც მომაძულეს მე აქა თავი.
მგზავრო, მომშორდი, წადი იქით, მე შენ ვერ გიცნობ!
მე მზეს უყვარვარ, ვხარობ მისთვის, მხოლოთ მას ვიცნობ!
მე აქ ჰაერში გამიშლია ჩემი შტოები
და ზღვის ტალღებით მორწყული მაქვს მე ფესოები.

კოწია.

გურული ახალგაზდების ამერიკაში მოგზაურობა.

ლუკაია ჩხარტიშვილი არის ერთი უბრალო გურული გლეხიკაცის შვილი, თანვე უსწავლელი, მცხოვრებია სოფ. ჯუმათის (ოზურგეთის მაზრის), რომელიც შემთხვევით 1891 წელს შეხვდა ერთ ინგლისელს დაბა ლანჩხუთში ჩამოსულს; თურმე ის ინგლისელი ჩამოსულიყო იმ მიზნით, რომ უნდა წაეყვანა ათი კავკასიელი ყმაწვილები, როგორც კარგი მოსიმღერე და ცხენოსნები ბ. ბაფლობილისა და სალისბიურის კომპანიის თეატრში.

იმ ინგლისელმა მიმართა ლუკაია ჩხარტიშვილს, როგორც ნაქებ ცხენოსანს და განთქმულ მოსიმღერეს გურიაში და უთხრა მას: „შენ მოაგროვე ცხრა კაცი და მეათე შენვე იქნებით და წამყევი ამერიკას ქ. ნიუიორკშიო, თვეში თითოეულს თქვენგანს ასი მანეთი და ხარჯი ჩემი გექნებათო; როგორც აქედან გზაში, აგრეთვე იქაც ამერიკაშიო".

ლუკაია ცოტა კი შეკრთა, შეეზარა მას მისი სამშობლოს მოშორება... იმ სიშორეზე როგორც არიან მოშორებულნი ერთმანეთზე ლანჩხუთი და ამერიკა. მაგრამ მან თავი არ დაიზოგა იმ შემთხვევაში და ზემოხსენებულ ინგლისელს პირობით შეეკრა, რომ მას უნდა ევლო ამერიკაში ყოველ წელს ე. ი. 1891 წელიდან 1900 წლამდის. ამ სახით ყოველ წელს დაჰყავს მას ცხრა-ცხრა ყმაწვილები და იმ 1891 წლიდან ასრულებს დღესაც იმ ინგლისელთან მტკიცეთ თავის პირობას.

ლუკაია ჩხარტიშვილი, მარჯვე, კარგი მოსიმღერეა, აგრეთვე, როგორც განთქმული ცხენოსანი, ითვლება იმ კაცების წინამძღოლათ, რომელნიც მას დაჰყავს ყოველ წელს. აგრეთვე მას დიდი ყურადღება აქვს დამსახურებული თავის უფროსებისა ნიუიორკში. როგორც ლუკაიას, ისე მის ხელქვეით ამხანაგებსაც დიდი მოწონება და პატივისცემა აქვთ კომპანიისაგან. ბევრ საწყალ გურულ გლეხს გამოაჭყეტინა თვალები ლუკაიას ამერიკაში მოგზაურობამ. ზოგმა, ლუკაიას მიერ იქ წაყვანილმა კაცებმა, რომელთაც შინ ლუკმა პური და არც სახლ-კარი მოეძეოდათ, მისი შემწეობით და გზის გასწავლებით სახლ-კარიც აიშენეს, ლუკმა-პურიც იშოვნეს და მუდამ შიმშილისაგან მტირალ ბავშებს ცრემლი შეუშვრეს თვალებზე.

ამნაირათ დღესაც დადის ლუკაია ამერიკაში და ასრულებს მტკიცეთ და განუდრეკელათ იმ ინგლისელთან თავის პირობას. ლუკაია ღებულობს ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისაგან სამზღვარ გარეთ გასვლის ნება რთვას, ყოველ მარტის დამდეგს და მიჰყავს ამერიკაში ცხრა-ცხრა ყმაწვილი; ხოლო ბრუნდება ამერიკიდან კავკასიაში იმავე წელს ოქტომბრის გასულს.

ილ. ლ.

ენის წარმოდგომაზე.

(Über den Ursprung der Sprache.)

დრ. გ. ს. ზეემანისა.

თარგმნილი გერმანულიდან.

ადამიანი დიდი ხანია ცდილობს გამოიკვლიოს, თუ საიდან და როგორ წარმოდგა ენა. ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ ეგვიპტელები თვლიდენ თავის თავს უძველეს ხალხათ და თავის ენასაც უძველეს ენათ. ამის თაობაზე წარმომდგარი იჭვნეულობის დასარღვევლათ, პსამეტიხმა ორი ახალ-დაბადებული ბავში მიაბარა ერთ მწყემს და უბრძანა: „თხის ცური აწოვე, ერთი სიტყვაც არ გააგონო და თვალ-ყური გეჭიროს იმაზე, თუ რას წარმოთქვამენ ისინი უწინარეს ყოვლისა“. ორ წელს შემდეგ უცებ ბავშებს თავისი პაწაწა ხელები მწყემსისაკენ გაეშვირათ და წამოეძახნათ: „Bekos“. გამოკვლევას აღმოეჩინა, რომ „Bekos“ ფრიგიული სიტყვა ყოფილიყო, რომელიც პურს ნიშნავდა, და ამ სახით იმ დასკვნამდის მისულან, რომ თითქოს ფრიგიული ენა ყოფილიყოს ადამიანთა უუძველესი ენა. ესევე ექსპერიმენტი (გამოცდილება) განიმეორეს იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ, იაკობ IV შოტლანდიელმა, დიდმა მაგოლმა, მაგრამ თუ რა შედეგი ჰქონდათ იმათ ექსპერიმენტებს არავინ იცის. ყველა ამგვარ გამოცდილებათა უხერხულობაზე არც კი ღირს ლაპარაკი. ჩვენ რომ ახალ-შობილი ბავში რაიმე ჩვენ მიერ გამოგონებულ არა ბუნებრივ პირობებში ჩავაყენოთ, ამით ჩვენ იმას ვერ შევიტყობთ, თუ როგორ განვითარდებოდა ადამიანი იმ პირობებში, რომლებშიაც მას ბუნება აყენებდა ხოლმე. ადამიანი საზოგადოებრივი ქმნილებაა, და იმას დაჭირდებოდა ენა, რათა თავის მზგავსთათვის გაებებინებია თავის თავი. ბავში რომ მოაშორონ მშობლებსა და თვისტომებში ყოფნა-ტრიალსა, რომ გაზარდონ ხელოვნურათ, რომ არ გააგონონ მის მსმენელობას ბგერა ადამიანის სიტყვისა, მაშინ იგი დამდაბლდება სულიერათ და ვერა შემთხვევაში ვერ მისცემს თავის უგნურ მტარვალებს ჯეროვან პასუხს რაიმე საყურადღებო საგნის შესახებ. ფილოსოფოსები, რომლებიც ცდილობდენ ამ პრობლების ახსნას, იყვენ სხვა-და-სხვა შეხედულობისანი. დემოკრიტი დაემყარა იმაზე, რომ, ერთი მხრით, ერთი და იგივე შემეცნება გამოიხატება სხვა-და-სხვა სიტყვებით, მაგალ., კაცი სიტყვებით: „Brotos“ დ „Anthsopos“, მეორე მხრით,—ერთი და იგივე სიტყვა სხვა და-სხვა შემეცნებებას აღნიშნავს, მაგალ., „Daktytos“ ნიშნავს თითს, ფინიკს დ ლექსთა ზომას, და მან გამოიყვანა აქედან, რომ ენა შეთანხმების და შემთხვევის წყალობით უნდა გაჩენილიყოს. მაგრამ ასეთი შეთანხმებით ხომ იგულისხმება თვით ენის არსებობა, შემთხვევა კი ვერაფერს ხსნის, პირიქით იგი თითონ თხოულობს რაიმე ახსნას. ჰერაკლიტი ფიქრობდა, რომ ენა გამოიწვია გარეგანმა ბუნებამ, სხვა-და-სხვა ზე-მოქმედებათა მეოხებით ადამიანზე. იმას მიაჩნია ბუნება „ვირტუოზათ“, ხოლო ადამიანი უბრალო ინსტრუმენტათ (იარაღათ). პლატონი კრატილოსში ამბობს: ენას აქვს მიზნათ გამოხატოს განსაზღვრული ბგერებით, ყოველივე რასაც ადამიანი გრძნობს გარეგან ბუნებაში, მაშასადამე, ყველა გრძნობის შთაბეჭდილებანი, და აგრეთვე ვოველივე, რაც ხდება მის შიგნით. ეს მოვლენა ისეთ დიდ, ადამიანის ძალ-ღონეზე აღმატებულ რამეთ მიაჩნია მას, რომ იგი აწერს ენას ღუთაებრივ დასაწყისს. ქრისტიანულ სწავლულთათვის დიდი ხნის განმავლობაში შეურყევლათ ითვლებოდა ებრაული (ურიული) ენა უძველეს იდიომათ. ებრაულათ ელაპარაკებოდა ღმერთი ადამს, რაშიაც ეჭვი არ შეჰქონდა არც ერთ წმიდა მამათაგანს; ამიტომ ენის მკვლევარნი ცდილობდენ რომ ბერძნული, თურქული და სხვა ენები ებრაული ენის ძირამდის მიეყვანათ და აგრეთვე ეჩვენებიათ, თუ ეს უკანასკნელი (ე. ი. ებრაული) როგორ განიყო და გარდაიქცა სხვა და-სხვა ენებათ. აურაცხელი შრომა დაიხარჯა ტყულა უბრალოთ და ყოველ ამ ძალ-დატანებათა უნაყოფობამ ბოლოს, როგორც იყო, მიანიჭა მტკიცე გამარჯვება ლეიბნიცის შემდეგ შეხედულებას:

ებრაული ენა დიაღაც არ არის პირვანდელი წყარო ყველა დანარჩენ ენათა, სულ სხვა გზები უნდა გაიკაფოს, რათა მივაგნოთ ამ საგნის კვალსა. მაგრამ, რადგან ეს მისს დროს შესაძლო არ იყო, მან ვერ მოახერხა ამ ჭეშმარიტი გზის აღმოჩენა. მართალია, იმან უჩვენა ენათა შედარებით შესწავლაზე, მაგრამ ეგონა, რომ ენის წარმოებისათვის საზოგადო

შემეცნებანი უპირველესი და უსაჭიროესი უნდა ყოფილიყვნენ; სიტყვები: მცენარე, ცხოველი, ნივთი, უფრო ადრე უნდა წარმომდგარიყვნენ, ვინემ რომელიმე ცალკე მცენარის, ცხოველის გინა ნივთის სახელ-წოდება. წინააღმდეგ ამისა ადამ სმიტი ამტკიცებდა, რომ სახელდობრ კერძო განმარტებათაგან უნდა წარმომდგარიყვნენ ზოგადი შემეცნებანი: ერთმა კერძო ღელემ, რომელმაც მიიღო ესა და ეს სახელი, ერთმა რომელიმე კერძო წყარომ, კერძო ზზამ (პალმამ) გადასცა შემდეგში თავის სახელი ყველა დანარჩენ ღელეებს, წყაროებს და ზზათა; დიდი კამათობა ჰქონდათ ატეხილი იმის შესახებ, ზმნა წინ უძღოდა სახელ-არსებითსა, თუ უკან მოსდევდა იმას,—და ამ კამათობამ გარდაწყვეტილი მიმართულება მიიღო მხოლოთ წარსული საუკუნის ბოლოს.—ინგლისურ-აზიური საზოგადოების მიერ კალკუტაში სანსკრიტული ენის შესწავლამ დაანახვა ყველას, რომ ბერძნული, ლათინური, რომანული ენები ისე, როგორც გერმანული და სლავიანური ენები წარმომდგარნი არიან ერთისა და იმავე პირველ—ენისაგან, რომ დასაწყისი ენისა მდგომარეობს ძირეულ სიტყვათა შექმნაში, და იმ კითხვის გამორკვევისათვის, თუ როგორ გაჩნდა ენა, საჭიროა გამოვიკვლიოთ ის, თუ როგორ წარმოდგენ (გაჩნდენ) ფესვები (ძირნი).



ნავარინის ბრძოლა.

მეორე არსებითი წინადადება დადგენილ იქმნა ლოკის მიერ: განუყოფელობა ენისა და გონებისა. ცხოველებთან საერთო ჩვენ გვაქვს მოქმედება გრძნობისა და ჭკუისა; ხოლო, რაიცა გვარჩევს ჩვენ იმათგან,—ეს გონებაა, ე. ი, ის ნიჭი, რომელიც გრძნობა-ჭკუის მოქმედების ნაწარმოებთა გარდაქმნის განყენებულ (აბსტრაქტულ) შემეცნებათ და აგრეთვე ის ნიჭი, რომელიც მუშაობს ამ შემეცნებაზე, ე. ი. აზროვნება. შემეცნებას ეკუთნის მისი განუსაზღვრელი სიტყვაც, ვინაიდგან ჩვენ მხოლოთ სიტყვის მეოხებით შეგვიძლია ჭეშმარიტათ აზროვნება. მაგრამ ასე-

თი შეხედულებით ჩვენ ვარდებით გამოუსვლელ წრეში. არავითარი ენა შესაძლებელი არ არის უგონებოთ, და არავითარი გონება უენოთ, მაშ, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ წინააღმდეგობიდან? ჰერდერი ცდილობდა გამოსულიყო იქედან მიბაძვის თეორიით. იმისი აზრით, ადამიანმა აღმოაჩინა ბუნების საგნებში განსაზღრული, მარტო იმათი კუთვნილი (საკუთარი) ბგერები და მიჰბაძა იმათ, მაგალ., იმან დაარქვა ცხვარს „Blökend s“ (რომელიც ბღავის, ბღავანა) და სხვ. მაგრამ გინდ ისიც არ ვახსენოთ, რომ მომეტებული ნაწილი ბუნების საგნებისა ჩვენ ცნობიერებამდე მიახწევენ ხოლმე არა მსმენელობის მეოხებით, არამედ მხედველობისა. შედარებითმა ენათ — მეცნიერებამ შეურყევლათ დაამტკიცა, რომ ეს ჰიპოტეზა შემცდარია, რომ Dönner (ქუხილი გერმან.) არას შემთხვევაში ონომატოპოეტურათ არ არის წარმომდგარი, არამედ სანსკრიტულ ძირიდან, „tan“ (გაჭიმვა, გადაჭიმვა), რომელიც აგრეთვე ძირია სიტყვისა dünn (წვრილი), და არ წარმოადგენს არავითარ კვალს ბგერის (ხმის) მიბაძვისას. შემდეგში თითონ ჰერდერმა უარ ჰყო თავისი თეორია და მიიღო, როგორც პლატონმა, ენის ღვთაებრივი წარმოდგომა, თუმცა ადრე თვითონვე აღიარებდა, რომ ასეთი წარმოდგომა წინასწარ-გულისხმობს (предполог.), რომ გონება დ ენა მზა-მზარეულათ უნდა ყოფილიყვენ მოცემული და, მაშასადამე, გამოდის petitio principii, და არა რაიმე ახსნა. როგორიც ბგერათა მიბაძვის თეორიაა, ისეთივე გამოუსადეგარი მოჩანს ის თეორიაც, რომელიც ამბობს, რომ ენა შორისდებულიდან წარმოდგა. ბგერანი გამოწვეულნი ტკივილის, მხიარულების, შიშის და განცვიფრების მიერ გადაიქცენ სიტყვებათ, და მაშასადამე, ენათ. მაგრამ, ცხადია, ასეთი ბგერანი (ხმები) ენა არ არის; პირიქით ენა საკუთრივ იწყება მაშინ, როცა ეს ბგერანი აზრის გამოხატვის მოთხოვნილებას ველარ აკმაყოფილებენ. მაქს მიულერი უწოდებს ამ თეორიას Bau-wau ბაუ-ვაუს თეორიას. მაქს მიულერი ამბობს: „ის, რაც წინ მიუძღვის ფესვთა წარმოდგომას, არის ბუნების ნაწარმოები, ხოლო რაიცა იმას მისდევს, შეადგენს ადამიანის მოქმედებას, არა ინდივიდუალურს და თავისუფალს, არამედ მის კოლექტიური და განმაწესრიგებელი ნიჭის მოქმედებას. თავის პირვანდელ მდგომარეობაში ადამიანს ჰქონდა ნიჭი (ძალა), რათა მისი გონებრივი კონცეპციები (წარმოდგენანი) გამოეხატა სხვა-და-სხვა გვარი ხმებით. ეს ნიჭი იმას თითონ კი არ შეუქნია. პირველათ ის ინსტინკტი იყო, ინსტინკტი სულისა, ისეთივე, როგორც სხვა დანარჩენი ინსტინკტები. ადამიანმა დაჰკარგა თავისი ინსტინკტები მაშინ, როცა ისინი უკვე აღარ ესაჭიროებდენ. ამ ნაირათვე გაჰქრა ის შემომქმედი ძალა, რომელიც ყოველ შთაბეჭდილებას გამოხატავდა ბგერებით (ხმებით),—გაჰქრა მაშინათვე, როცა იმან თავისი მიზანი შეასრულა“. ეს სწორეთ მართალია, მაგრამ ენის გაჩენის ახსნა როდია. „პირველ ყოფილ ადამიანს ჰქონდა ნიჭი, რათა თავისი გონებრივი წარმოდგენანი სხვა-და-სხვა ხმებით გამოეხატა“, —ეს შემდეგს ნიშნავს: კაცს, როგორც ადამიანს, ჰქონდა გონება და ენა, გონება და ენა ეკუთვნიან ადამიანის არსებას.

თავის მხრით ლაზარე გეიგერმა ასე დააყენა კითხვა: „როგორ შეიძლებოდა, რომ გონიერი და პირმეტყველი არსება პირუტყვისაგან წარმომდგარიყო?“ ამ კითხვაზე მანვე უპასუხა: დიაღაც არ შეიძლებოდა; უენოსა და უგონოს არასოდეს არ შეეძლო შეექმნა ენა და გონება. ორივე ეკუთნის ერთსა და იმავე მცენარეს, ორივე, მაშასადამე, გულისხმობენ საერთო მარცვალს, რომელიც უნდა შეიცავდეს ორივეს საფუძველს. ამ პირველი მარცვლის (ჩასახულის) აღმოჩენა, მისი თვისების გამოკვლევა კი ჩვენ გონებას აღემატება. ამიტომ ყველა განმარტებანი, რომლებსაც ენა გამოჰყავთ უენო მდგომარეობიდან უნდა უარ-ყოფილ იქმნას, რადგანაც ამ შემთხვევაში ყოველთვის იგულისხმება ნიჭიერება; მაგრამ ეს ვერაფერს ვერ ხსნის. ვერც თვით გეიგერი აცდა ამნაირ ბედს. რომ ენის დასაწყისი უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ ადამიანი, როცა სხვა-და-სხვა ხმებს გამოთქვამს, ის ათასნაირათ გრეხს და ამოძრავებს პირს; ეს ბადავს მიბაძვას მეორე არსებაში, და, აი, აქედან ჩნდება ენა; მაგრამ ეს თხოულობს იმნაირ არსებას, რომელშიაც ნიჭი გონებასა და ენისადმი უკვე არის. ამ რამდენიმე წლის წინ ლუდვიგ Noiré-მ ერთხელ კიდევ მოჰკიდა ხელი ამ საგანს და მართლაც მეტათ საინტერესო, ამ კითხვის ისტორიულათ გამოკვლევის მხრივ, წიგნი შეადგინა, რომელშიაც მას გულ-უბრყვილო კმაყოფილებით მოაქვს თავი ისეთ პირათ, რომელმაც ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა საუნჯე. მოქმედებისადმი თანაგრძნობისაგან, საერთო შეგნებულ რჩევა-ძიებისაგან უნდა წარმომდგარიყო ენაო. მაგრამ ეს სიმპატიური საქმიანობა, მოქმედება, თუ კი ის აღემატება ჭიანჭველების და ფუტკრების მოქმედებას, საგულისხმებლათ ხდის გონებას და ენას. ამნაირათ Noirè-ს თეორიაც უნაყოფო გამოდგა.

პ. გ. ჭარაია.

(შემდეგი იქნება)

ქალბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოეუცხადოთ იმ პატივცემულ პირთა, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს ხონში საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენის გამართვაში: ქ ნ ჩხეიძისას და დ. ივანიძ-სას უფასოთ მონაწილეობის მიღებისათვის, ქ. ეკ. მოსიძისას გამგეობისათვის და ბ. ივ. შარაძეს უფასოთ სახლის დათმობისათვის. შემოსავალი იყო 131 მან. და 96 კაპ. დაიხარჯა 35 მან. 74 კაპ. დარჩა 96 მან. 24 კაპ., რომელიც უკვე მივიღეთ.

სტუდენტი გ. ბ. ქუთათელაძე და ბ. გ. მდივანი.

* * *

პასუხათ „ერთ იმავე დალაქთაგანს“. დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენ სურვილს; მაგრამ არც ისე, როგორც თქვენ „კვალი-ს“ 32 №-ში დაბეჭდილი წერილით თხოულობთ! თქვენი განზრახვა ერთობ სასიხარულოც არის, რადგანაც თავის გამართლება მოგიწადინიათ გაზეთის საშუალებით. მაგრამ ამასთანავე გასაკვირველია ის ამბავი, რომ „კვალის“ რედაქტორს თხოვთ დალაქთან ერთათ თვით მეთვალყურის ვინაობის გამოცხადებას. გასაკვირველია-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ თქვენ ყოველივე ეს დაწერილებით იცით ე. ი. იცით, ვინ არის მეთვალყურე, იცით ვის შეეხებოდა ის მისგან დაწერილი შენიშვნა, იცით სად მოხდა ეს ამბავი, ე. ი. იცით დაწერილებით მთელი ეს შემთხვევა, მაგრამ არ ვიცი რათ მოგინდომებიათ ყოველ ამბების გაზეთით გამოქვეყნება.

მაშ თუ არ იცოდით ვინ იყო მეთვალყურე და ან თუ ვის შეეხებოდა მისი შენიშვნა „კვალის“ № 29, რისთვის დაუხვედით მას გზაზე და აცახცახებული ხმით რათ დაემუქრეთ შემდეგი სიტყვებით: „ახლა სადღა წამიხვალ ყმაწვილო, გიჩვენებ და თუ იმითაც არა გამოვიდა-რა, შემდეგ ჩემი მკლავის ძალით ხომ მაინც გადაგიწყვეტო“. თუ არ იცნობდ თ მეთვალყურეს და ან ვის შეეხებოდა მისი შენიშვნა, რომელი ზეკარდმო შთაგონების ძალით ეუბნებოდით ყველა თქვენ ნაცნობს, რომ მეთვალყურეც ვიცი ვინ არის და აგრეთვე ისიც ვიცი, რომ ის შენიშვნა ჩემზეა დაწერილი. რასაკვირველია ყველაფერი კარგათ იცოდით, რადგან მეთვალყურემ აგიწერათ მის თვალ წინ მომხდარი ამბავი. ყოველ შემთხვევაში, რათა თქვენი უპირველესი თხოვნა დავაკმაყოფილო მე ჩემ ვინაობას წერილის ბოლოს ვაცხადებ. ჩემგან დასახელებული დალაქი თქვენ ბრძანდებით, ე. ი. „ერთი იმავე დალაქთაგანი“.

მე, მეთვალყურეობა იმიტომ ვიკისრე, რომ რასაც შეეხებიან სამართლიანს თუ უსამართლოს, სასარგებლოს თუ მავნებელს, ყველაფერი გამოვაცხადო, თუ გინდ იმ დროს იქ არც ნოტარიუსი მყავდეს დასამტკიცებლათ და არც მოწმები მახლდეს .. თქვენ ამბობთ, მაგ., „რომ ამნაირი ამბის გამომჟღავნებით საერთოთ ჩირქი ვეცხება ჩვენ ხელოსნებს და მუშტარი ზიზღით გვიცქერისო, ამიტომ გთხოეთ აკვაციოთ ეს ცილის წამება და ეს ვიღაც მეთვალყურეა მოგვაშორეთო. „მაგრამ ბ. „დალაქთაგანი“ ძლიერ შემცდარა, თუ მართლა ჰგონია, რომ ყველა დალაქი იქცევა ისე, როგორც ის. აი ცილის წამება თუ გნებავთ, სწორეთ ეს არის. თითონ მე ბევრ დალაქებს ვიცნობ, რომლებმაც კარგათ იციან თავიანთი მოვალეობა და კიდევაც სამართლიანათ იქცევიან ცხოვრებაში, ხოლო თქვენზე და თქვენისთანებზე ბ. „დალაქთაგანო“ იმის მეტს არას ვიტყვი, რაც წინეთ ვთქვი.

ვასილ ოჩიოკაძე (იგივე მეთვალყურე).

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

„კვალის“ ფოსტა.

დ. ო—მს. მღვ. ი—ნე ქ—ძეს. თქვენი წერილები ვერ დაიბეჭდება.

—

სოხუმს. ი. ბ—ძეს. თქვენი წერილი ჩვენდა დაუმოკიდებელ მიზეზების გამო არ დაიბეჭდება.

განცხადება

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე. საგინოვისა, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

Доз. ценз. Тифлисъ, 10 Августа 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.